<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---ივნისი 2020 წელი

ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელის მინიჭების შესახებ

1. საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

ა) ნაძალადევის რაიონში, ცოტნე დადიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო სკვერს მიენიჭოს აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

ბ) ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

2. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=483113 Y=4620188
X=483070 Y=4620166
ძველი ნიკლეურების
სახელოზის სკვერი
X=483126 Y=4620133
X=483082 Y=4620118
X=483116 Y=4620127

საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლო!"

INTERNATIONAL ASSOCIATION „PROTECT YOUR HOMELAND!"

№25 15.05.19

ქ.თბილისის საკრებულოს თავჯდომარეს

ბატონ გიორგი ტყემალაძეს

ბატონო გიორგი

მოგახსენებთ, 1992-1993წლებში, რუსეთ-საქართველოს ომში, აფხაზეთში, რუსეთის სათეკეპაციო ჯარის, ჩრდილო კავკასიური სეპარატისტული შენაერთების, ასევე აფხაზი სეპარატისტების წინააღმდეგ(რომლებიც საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას ებრძოდნენ) არა ერთმა მეომარმა საკუთარი სიცოცხლე უანგაროდ შეწირა სამშობლო-საქართველოს.

მათ შორის, ერთი ოჯახის ოთხმა წევრმა ,ზალდასტანიშვილებმა (ძმებმა) და ტყუპებმა, -წიკლაურებმა.

საქართველოს უმაღრიესების სპეცდანიშნულების საინფორმაციო სადაზვერვო სამსახურის ზემდეგი ვასო (ვასილ) ზაქარიას ძე წიკლაური, ამავე სამსახურის ზემდეგ. ნიკოლოზ ზაქარიას ძე წიკლაურთან ერთად (ტყუპები) არა ერთ ყოთულეს ოპერაციაში (გასაიდუმლებულში)იღებდნენ მონაწილეობას. ისინი განსაკუთრებული ხიმამაცით გამოირჩეოდნენ. ბიჭებმა ბაბუშერას აეროპორტში, რუსების მიერ ნამოგდებულ, დამწვარ თვითმფრინავში დაასრულეს სიცოცხლე.

გთხოვთ, სამალადევის რაიონში, ქუჩას(ან მიმდებარე ქუჩას) სადაც ტყუპი ძმები დაიბადნენ და გაიზარდნენ, სათანადო კომისიამ მიანიჭოს ძმები წიკლაურების სახელი. ამჟამად ქუჩას ჰქვია ხევსურეთის ქუჩა. ბიჭებიც ხევსურები იყვნენ.

საკონტაქტო პირი:დარეჯან გუგეშაშვილი

ტელ:598 91 99 77

საერთაშორისო ასოციაცია „დაიცავი შენი წილი სამშობლო!"-ს

თავჯდომარე, თადარიგის პოლკოვნიკი

დარეჯან გუგეშაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: 03-031915738
თარიღი: 06/06/2019
პინი: 4856

ადრესატი: საერთაშორისო ასოციაცია დაიცავი შენი წილი სამშობლო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 433648369
მისამართი: რუხაძის ქ 6/4

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიამ განიხილა თქვენი 2019 წლის 15 მაისის საქმე #10/0319135129-03, რომლითაც ითხოვთ ხევსურეთის ქუჩისთვის აფხაზეთის ომში დაღუპული ძმები წიკლაურების სახელის მინიჭებას.

გაცნობებთ, რომ ''ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის N14-59 დადგენილების მეექვსე მუხლის თანახმად გეოგრაფიული ობიექტისთვის სახელწოდების აღდგენა ან შეცვლა ხორციელდება იმ შემთხვევაში თუ:

ა) იცვლება საბჭოთა, ბოლშევიკურ რეჟიმთან დაკავშირებული შემორჩენილი სახელწოდებები;

ბ) შესაძლებელია ისტორიული ტოპონიმების აღდგენა, რომლებსაც განსაკუთრებული ისტორიულ-კულტურული მნიშვნელობა გააჩნია;

გ) არსებობს ერთი და იმავე სახელწოდების რამდენიმე გეოგრაფიული ობიექტი, რაც სხვადასხვა საქმიანობის განხორციელებისას ქმნის გარკვეულ სირთულეებს; (აღნიშნული არ ვრცელდება „ქალაქ თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ" საქართველოს პარლამენტის 2006 წლის 27 დეკემბრის №4173-რს დადგენილებით შემოერთებული ტერიტორიების მიმართ);

დ) არსებითად იცვლება გეოგრაფიული ობიექტის ფუნქციური დანიშნულება ან სტატუსი;

ე) ტარდება სახელდების ობიექტის და მიმდებარე ტერიტორიის ისეთი ქალაქთმშენებლობითი სახეცვლილება ან რეკონსტრუქცია, რომელიც იწვევს გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდების შეცვლის ან გაუქმების აუცილებლობას;

ვ) კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

აღნიშნული წესიდან გამომდინარე კომისიას მიზანშეუწონლად მიაჩნია ხევსურეთის ქუჩისთვის სახელის შეცვლა. ხელახალი მომართვის, საბრძოლო მოკვლევების და ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის რეკომენდაციის წარმოდგენის შემთხვევაში კომისია მზად არის მოიძიოს უსახელო ქუჩა ნაძალადევის რაიონში და იმსჯელოს სახელდებაზე.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **პ/4840821**
თარიღი: **20/02/2020**
პინი: **####**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
მისამართი: შარტავას ქ. 7ა

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსს
ბატონ გიორგი ებანოიძეს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი სამგორის რაიონში, სოფ. ნასაგურში მეურნის ქუჩისთვის და ნაძალადევის რაიონში ცოტნე დადიანის გამზირთან მდებარე უსახელო სკვერისთვის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორიები და გამოგვიგზავნოთ მეურნის ქუჩის და ვასიკო და ნუკრი წიკლაურების სკვერის სიტუაციური ნახაზები ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 2 (ორი) გვერდი.

თინათინ ნიბლოშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

სსიპ ურბანული განვითარების სამსახური

წერილის ნომერი: **67-01200732963**
თარიღი: **13/03/2020**
პინი: **8888**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სიმბოლიკის კომისიის თავჯდომარეს

ქ-ნ თინათინ ნიბლოშვილს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ქალბატონო თინათინ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 24.02.2020 წლის #03-032005562 (10.03.2020წ. #14-01200552715-67) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ნუკრი და ვასიკო წიკლაურები

(1962-1993)

აფხაზეთის ომში დაღუპული მებრძოლები

ტყუპი ძმები, ნუკრი და ვასიკო წიკლაურები დაიბადნენ ქ.თბილისში 1962 წელს. 1993 წელს ჩაირიცხნენ საქართველოს რესპუბლიკის საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურში. ისინი გმირულად იბრძოდნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის აფხაზეთში. ოთხჯერ მიაშურეს ძმებმა ბრძოლის ველს. მეოთხე წასვლა საბედისწერო აღმოჩნდა. 1993 წლის 22 სექტემბერს საბრძოლო დავალების შესრულებისას, მათი თვითმფრინავი ბაბუშერას აეროპორტში დაჯდომისას ააფეთქეს აფხაზებმა. მათთან ერთად დაიღუპნენ მათი დისშვილები, 23 და 25 წლის ძმები ზურა და თენგო ზალდასტანიშვილები. ისინი დაკრძალეს დრანდაში.

2014 წელს ნეშტები იდენტიფირების მიზნით გადმოასვენეს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში. 2015 წელს ექსპერტიზის დასკვნის შემდეგ ერთი ოჯახის ოთხივე წევრი სამხედრო პატივით დაკრძალეს დიღმის ძმათა სასაფლაოზე.

დაჯილოებული არიან ვახტანგ გორგასლის III ხარისხის ორდენით.